ვოლოკოლამსკის მიტროპოლიტი ანტონი რომის პაპ ფრანცისკეს შეხვდა

სსკგ-ის კომუნიკაციის სამსახური, 05.08.2022. *5 აგვისტოს რომის პაპის ფრანცისკეს მიწვევით მოსკოვის საპატრიარქოს საგარეო საეკლესიო კავშირების განყოფილების თავმჯდომარე ანტონი ვატიკანს ეწვია, სადაც მოციქულთა სასახლეში გაიმართა მისი შეხვედრა რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მეთაურთან.*

საუბრის მსვლელობისას, რომელიც იტალიურ ენაზე წარიმართა, პაპმა ფრანცისკემ და მიტროპოლიტმა ანტონიმ მრავალი საკითხი განიხილეს, რომლებიც მართლმადიდებლურ-კათოლიკური ურთიერთობების დღის წესრიგში დგას, მათ შორის, მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების კონტექსტში.

ხანგრძლივი შეხვედრა თანამოსაუბრეთა შორის სამახსოვრო საჩუქრების ურთიერთგაცვლით დასრულდა.

წყარო: https://mospat.ru/ge/news/89509/